# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

# საკრებულოს თავმჯდომარის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №238

6 დეკემბერი 2012 წ.

**სოფელ ნაბეღლავში ,,ს.ს. წყალი მარგებელის'' მინერალური წყლის ჩამომსხმელი საამქროს რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ**

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტის, ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს 72-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ'' საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 63-ე მუხლის და გამგეობის დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

1. ს.ს ,, წყალი მარგებელი''-ს დირექტორის გრიგოლ გოგოლაძის №68 (01.07.2011წ) მომართვის შესაბამისად, შეთანხმებული იქნას წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია და გაიცეს მინერალური წყლის ჩამომსხმელი საამქროს რეკონსტრუქციის მშენებლობის ნებართვა.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე - ჭავჭავაძის ქ.№4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

***იურისტი*** ***ედიშერ ჯიბუტი***